სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავმჯდომარე: **თეა ლილუაშვილი** წევრი: **ირმა ღარიბაშვილი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(ქ. თბილისი. 2021 წ.)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ კოლეჯი „ლაკადა“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის 2021 წლის 2 დეკემბრის N1297060ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სსიპ კოლეჯ „ლაკადას“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ დამატების მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციას, შესასწავლად გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, შეისწავლა და კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩაატარა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგნლებთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სასწავლო გარემო და გადაამოწმა საბიბლიოთეკო რესურსები.ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 17 დეკემბერს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით. ვიზიტის დროს შესაძლებლობა გვქონდა გავცნობოდით A და B გარემოს, ასევე ბიბლიოთეკას. არ გვქონდა საშუალება გვენახა C გარემო, ვინაიდან C გარემოს შესაბამისი აღჭურვილობა შესყიდვის პროცესში იყო და ვიზიტის პერიოდში არ იყო სასწავლო გარემო მოწყობილი.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

-

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ არის გაცემული რეკომენდაციები

VI.გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

VII.რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია:

ინდიკატორი 2.2.1. (1)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

- დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მიწერილი წერილი (№1171600; 02.11.2021), თანამედროვე სტანდარტის შედუღების სახელოსნოს პროექტირებისა და მშენებლობის საჭიროების შესახებ. წერილიდან დგინდება, რომ დაწესებულებამ სამინისტროს გადასცა საჭირო აღჭურვილობის ჩამონათვალი და ინვოისი. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა წერილი ((№1175262; 02.11.2021), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორისადმი მიწერილი წერილი, წერილში აღნიშნულია, რომ „დეპარტამენტი გაეცნო წარმოდგენილ კორესპონდენციას, იზიარებს კოლეჯის ,,ლაკადა'' მოთხოვნას და თანახმაა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ ზემოაღნიშნულზე განახორციელოს შესაბამისი რეაგირება“.
  დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია C გარემოს მატერიალურ ტექნიკური აღჭურვილობით პროგრამის სრულყოფის შესახებ. სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 4 მაისი. განსაზღვრულია შემსრულებელი, დაფინანსების წყარო და შესრულების ინდიკატორები. დაფინანსების წყაროდ განსაზღვრულია „საკუთარი სახსრები“. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტებმა მოცემული ინდიკატორი შეაფასა როგორც მეტწილი შესაბამისობა.
  დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სწავლის დაწყებამდე უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარის მობილიზება შესაბამისობის გეგმაში ასახული ვადების გათვალისწინებით..

ინდიკატორი 2.4.1. (6)

- ვიზიტის პერიოდში არ იყო მოწყობილი C გარემო, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი გეგმა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მიწერილი წერილი (№1171600; 02.11.2021), თანამედროვე სტანდარტის შედუღების სახელოსნოს პროექტირებისა და მშენებლობის საჭიროების შესახებ. წერილიდან დგინდება, რომ დაწესებულებამ სამინისტროს გადასცა საჭირო აღჭურვილობის ჩამონათვალი და ინვოისი. დაწესებულებამ ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

წარმოადგინა წერილი ((№1175262; 02.11.2021), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორისადმი მიწერილი წერილი, წერილში აღნიშნულია, რომ „დეპარტამენტი გაეცნო წარმოდგენილ კორესპონდენციას, იზიარებს კოლეჯის ,,ლაკადა'' მოთხოვნას და თანახმაა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ ზემოაღნიშნულზე განახორციელოს შესაბამისი რეაგირება“.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში ასახულ ვადებში უზრუნველყოფილ იქნეს უსაფრთხოების დაცვის საშუალებებით. გამოკრულ იქნეს უსაფრთხოების სპეციალური წესები პროგრამის სპეციფიკის შესაბამისად.

გაუმჯობესების რეკომენდაცია:

ინდიკატორი 2.4.1. (3)

- მოდულებში გაწერილია სწავლა/სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - <u>ორიენტირებული სასწავლო ოთახზე/სახელოსნოზე.</u> გასწორდეს მოდულებში აღნიშნული ჩანაწერი და დაზუსტდეს სწავლა/სწავლების მეთოდები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მესამე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში/ Basic Vocational Qualification in Welding
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	-
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი; ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30 წალენჯიხის მუნიციპალიტეტი; ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. N2 მოდულური.
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	38
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	53

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**შეესაბამება**	**მეტწილად შეესაბამება**	**ნაწილობრივ შეესაბამება**	**არ შეესაბამება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლოპროგრამებისშეფასებადაგანვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა „შედუღების“ პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კოლეჯმა ჩაატარა პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვა. კერძოდ გამოიკითხა შემდეგი კომპანიები - შპს „ჯეო მარკი“, [redacted] დაწესებულებამ წარმოადგინა შედუღების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული „კვლევის ანგარიში“ (2021 წლის ოქტომბერი). სამიზნე ჯგუფად განსაზღვრულია წალენჯიხა/ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოქმედი საწარმოები და მუნიციპალიტეტის თემებში მაცხოვრებლები. დოკუმენტში გაწერილია, რომ კომპანია „ჯეო მარკის“ გამოხატავს მზაობას ნებისმიერი სახის თანამშრომლობისა და მხარდაჭერისათვის. კერძოდ, საწყის ეტაპზე დაეხმარება მასტერკლასების ჩატარებაში, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა პრაქტიკული უნარის განმტკიცებასა და სამომავლო იდეების გენერირებას. კომპანია მზად არის დაინტერესებულ სტუდენტს დაუფინანსოს კვალიფიკაციის ამაღლება საქართველოს ფარგლებს გარეთ სამი თვის ვადით, იმ პირობით თუ ის ითანამშრომლებს მასთან მინიმუმ ხუთი წლის ვადით. კომპანია მზად არის კურსდამთავრებულთა დასაქმებაში ხელშეწყობაზე. ანალიზის დოკუმენტიდან იკვეთება, რომ გამოიკითხა სულ 50-ზე მეტი ადამიანი. გამოკითხულთა 72% მიიჩნევს, რომ შემდუღებლის პროგრამის განხორციელება საჭიროა. მათი აზრით, ეს ხელს შეუწყობს დასახლებაში მცხოვრებთა თვითდასაქმებას. აღნიშნული კვლევის საფუძველზე 67% -მა დაასახელა პროფესია შედუღება ერთ-ერთ მოთხოვნად პროფესიად.

დაწესებულების გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიულ გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მ/შ-ის 2021 წლის 04 ნოემბრის №04/82 ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების) საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დეტალურადაა გაწერილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:

- საბაზო განათლება
- „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა“.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან.

პროგრამაზე პროფესიული სტუდნეტების ჩარიცხვა ხორციელდება სსიპ კოლეჯ „ლაკადა“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესით შერჩევის დებულების შესაბამისად. დაწესებულებამ წარმოადგინა “აპლიკანტთა შიდა შერჩევის წესი“ (ბრძანება№04/61; 27.08.2021). შერჩევაში მონაწილეობის უფლება აქვს სსიპ-განათლების მართვის სისტემაში რეგისტრირებულ აპლიკანტებს. წესში განსაზღვრულია საბაზო საფეხურზე
აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნის შეფასების მეთოდები და ეტაპები. შეფასება ხდება გასაუბრების საფუძველზე (მოტივაციური, პრაქტიკული სამუშაო შემთხვევის (ქეისი) ანალიზის მეთოდი; შემოქმედებითი).
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (2021 წლის 28 ოქტომბრის №04/79 ბრძანება). დაწესებულება პროგრამას განახორციელებს A, B და C გარემოში. სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრა შემდეგი მეთოდოლოგიით: A გარემო აღჭურვილია სასწავლო მაგიდებით, სკამებით, დაფით, ინტერნეტის სივრცეში ჩართული კომპიუტერით, საჭიროების შემთხვევაში დემონსტრირების საშუალებით; B გარემო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

- კომპიუტერული ლაბორატორიაა აღჭურვილი პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად. C გარემო - სპეციალური სასწავლო გარემოა. შესაძლებელია სამივე სასწავლო გარემოს გამოყენება ორ ცვლაში. დოკუმენტის შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა „შედუღების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტით.

პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია როგორც მატერიალური რესურსი, ისე საგანმანათლებლო რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან, კერძოდ,

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამას არჩევითი მოდულები არ აქვს.

6. .პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილია კოლეჯის დირექტორი.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის მ/შ 2021 წლის 04 ნოემბრის №04/82 ბრძანებით.

7.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

8.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებას, მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, მისაღწევი სწავლის შედეგებს, მოცულობას, ხანგრძლივობას, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებას, კვალიფიკაციას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად დოკუმენტს, ზოგად მოდულებს, პროფესიულ მოდულებს, სასწავლო გეგმას. მოდულების ბლოკში გათვალისწინებულია ქართული ენის მოდული. ქართული ენის მოდულის გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს აზერბაიჯანულ,სომხურ ან რუსულ ენებზე შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა.

კოლეჯის დირექტორის მ/შ 2020 წლის 11 ივნისის №04/32 ბრძანება „პროგრამის, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“.

- საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“- მიზანშეწონილობის დასაბუთება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

- კოლეჯის დირექტორის მ/შ 2021 წლის 28 ოქტომბრის №04/79 ბრძანება ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში“ ცვლილების შეტანის შესახებ.
- კოლეჯ ,,ლაკადას“ დირექტორის მ/შ 2021 წლის 28 ოქტომბრის №04/79 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“.
- ინტერვიურება.
- პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებული მემორანდუმები.
- “აპლიკანტთა შიდა შერჩევის წესი“ (ბრძანება№04/61; 27.08.2021).

შეფასება:

■ შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა „შედუღების“ (III დონე) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტით. დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერვიუსას აღნიშნა, რომ სწავლებას განახორციელებენ ორ ცვლაში. ვიზიტისას განხორციელდა პროგრამის მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება. ექსპერტთა მიერ ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდება A და B გარემო. C გარემოს ვიზუალური შეფასება ვერ განხორციელდა. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გარემოს მშენებლობა დაიწყო მიმდინარე წლის ნოემბერში და დასრულდება 6 თვეში.

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია შემდეგი სასწავლო გარემო:
<u>A გარემო -</u> დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, გარემოში განთავსებულია - 15 მაგიდა და სკამი. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია ერთი მაგიდა, სკამი, პროექტორი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. სასწავლო გარემოში შეკიდულია დაფა. პირველ ეტაპზე კოლეჯი მიღებას გამოაცხადებს 15 ადგილზე. ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდება აღნიშნული გარემო და მატერიალური რესურსი. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, A გარემოში სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. აღნიშნული სასწავლო გარემო გამოიყენება ასევე სხვა პროგრამის ფარგლებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

გარემო გამტარუნარიანია 2-3 პროგრამის განხორციელების დროს. აღნიშნული საკითხი რეგულირდება სასწავლო გეგმების მიხედვით. დაწესებულებამ წარმოადგინა გარემოს მატერიალური რესურსის მიღება-ჩაბარების აქტები (მერხები, სკამები, პროექტორი, კომპიუტერი).

<u>B გარემო -</u> გარემო განკუთვნილია კომპიუტერული პროგრამების ასათვისებლად მაქსიმუმ 15 პროფესიულ სტუდენტზე. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, <u>B</u> გარემოში სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ გარემო განკუთვნილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის. გარემოში განთავსებულია 15 კომპიუტერი, პროექტორი, ქსეროქსი და პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომი საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. დაწესებულეწბას აქვს 2 კომპიუტერული გარემო, რომელსაც იყენებს სხვადასხვა პროგრამების განხორციელებისას. დაწესებულებამ წარმოადგინა გარემოს მატერიალური რესურსის მიღება-ჩაბარების აქტები (მერხები, სკამები, პროექტორი, კომპიუტერები).

<u>C გარემო - პრაქტიკის სივრცე</u> მშენებლობის პროცესშია და ასევე შესყიდვის პროცესშია აღჭურვილობა.

დაწესებულებამ წარმოადგინა მატერიალური რესურსის (მერხები, სკამები, კომპიუტერები, პროექტორი, მასწავლებლის მაგიდა) შეძენისა და მიღება-ჩაბარების აქტები. წარმოდგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მიწერილი წერილი (№1171600; 02.11.2021), თანამედროვე სტანდარტის შედუღების სახელოსნოს პროექტირებისა და მშენებლობის საჭიროების შესახებ. წერილიდან დგინდება, რომ დაწესებულებამ სამინისტროს გადასცა საჭირო აღჭურვილობის ჩამონათვალი და ინვოისი. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა წერილი ((№1175262; 02.11.2021),

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორისადმი მიწერილი წერილი, წერილში აღნიშნულია, რომ „დეპარტამენტი გაეცნო წარმოდგენილ კორესპონდენციას, იზიარებს კოლეჯის ,,ლაკადა'' მოთხოვნას და თანახმაა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ ზემოაღნიშნულზე განახორციელოს შესაბამისი რეაგირება".

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია C გარემოს მატერიალურ ტექნიკური აღჭურვილობით პროგრამის სრულყოფის შესახებ. სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულია **2021 წლის 11 მაისი.** აღნიშნული ჩანაწერი ინდა ჩანაცვლდეს შემდეგი ჩანაწერით - 2022 წლის 4 მაისი. განსაზღვრულია შემსრულებელი, დაფინანსების წყარო და შესრულების ინდიკატორები. დაფინანსების წყაროდ განსაზღვრულია „საკუთარი სახსრები". კოლეჯმა დაადგინა სტანდარტის მეტწილი შესაბამისობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ექსპერტებმა მოცემული ინდიკატორი შეაფასა როგორც მეტწილი შესაბამისობა.**

პროგრამა არ ითვალისწინებს პრაქტიკის მოდულს. დაწესებულებას პარტნიორ კომპანიებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პრაქტიკულ კომპონენტებს პროფესიული სტუდენტები გაივლიან კოლეჯის ბაზაზე. დაწესებულებამ წარმოადგინა კომპანია „ჯეო მარკთან" გაფორმებული მემორანდუმი (25.10.2021). მემორანდუმის საგანს წარმოადგენს სასწავლო ექსკურსიების უზრუნველყოფა „გაცნობითი პრაქტიკის" მოდულის ფარგლებში. მხარეთა შორის გაფორმებული მემორანდუმი არის უვადო.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 5. მათ შორის 2 არის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. პირადი საქმეებით დასტურდება მათი კვალიფიკაცია და სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

გამოცდილება. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირები სწავლებას ახდენენ სხვა პროგრამების ფარგლებშიც. მიუხედავად ამისა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არ ეწინააღმდეგება ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს“. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3.დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტის „ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ“ მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ განსახორციელებელი მოდულების სახელწოდებები. დაწესებულებას პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები შრომის კანონმდებლობის პირობების გათვალისწინებით. ასევე ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და შეისწავლა ისინი. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ზოგადი მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება. პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირს აქვს საგნობრივი პროგრამის სწავლების გამოცდილება, მან გამოთქვა მზაობა იმ სიახლეების (შეფასების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და სხვ.) გაცნობისა და გაზიარების შესახებ, რაც მოდულური პროგრამის განხორციელებას სჭირდება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ახდენენ პროფესიული განათლების მასწავლებლების დატრენინგებას მუდმივად. საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ მასწავლებელთა სახლს.

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დადასტურდა მისი პირადი საქმითა და ინტერვიუთი. დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის მ/შ №02/17 ბრძანება „პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ“. დოკუმენტს დანართის სახით თან ერთვის პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. პროგრამის მოდულებში განსაზღვრულია სასწავლო რესურსი. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომლობა. პსდ-მ წარმოადგინა არსებული სასწავლო რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ სასწავლო რესურსთან. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ მოდულებში განსაზღვრული სასწავლო რესურსი სრულად არის კოლეჯის ბიბლიოთეკაში ელექტრონული და ბეჭდური სახით. დისტანციური ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მოდულებში მითითებული საგანმანთლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა. ბიბლიოთეკარმა ექსპერტებს აჩვენა კომპიუტერში განთავსებული სასწავლო რესურსი.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით, დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოყენება მოხდება სასწავლო პროცესში.

6.დაწესებულებას რეგულაციით განსაზღვრული აქვს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, ასისტენტის, სსს მქონე პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და პროფესიული მასწავლებლის მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის ჩართვას. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის მოდიფიცირებულ სასწავლო მასალას განსაზღვრავს და ადგენს საჭიროებისამებრ პროფესიული განათლების მასწავლებელი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან ერთად.

7.პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. **<u>რენტაბელობის ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 11-ით.</u>**
კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია <u>შემოსავლების ნაწილი</u> და <u>ხარჯების ნაწილი.</u> <u>შემოსავლების ნაწილში</u> სულ განსაზღვრულია - 58 268 ლარი და <u>ხარჯების ნაწილში</u> - 58 268 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება - 8 910 ლარი, სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯი - 2 101 ლარი, ადმინისტრირების ხარჯი - 47 257 ლარი.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- შესაბამისობის გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

- კოლეჯ „ლაკადას“ დირექტორის მ/შ 2021 წლის 28 ოქტომბრის №04/79 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“.
- კოლეჯის დირექტორის მ/შ №02/17 ბრძანება „პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ“.
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე.
- ვიზუალური დათვალიერება.
- პროგრამის ბიუჯეტი.
- ბიბლიოთეკა.
- კოლეჯის ვებგვერდი.
- მემორანდუმი პარტნიორ კომპანიასთან.
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმე.
- ინტერვიურება.
- კოლეჯის წერილი საქართველოსგანათლების და მეცნიერების სამინისტროს, C გარემოს უზრუნველყოფის შესახებ, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს წერილი საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის სააგენტოს.

შეფასება:

☐შეესაბამება

■ეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.3.1პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია“ . აღნიშნული მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრულია, რომ განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით ხდება საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება. დაწესებულებამ წარმოადგინა ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების შემადგენელი ნაწილი -კითხვარები, რომლის საშუალებითაც ხდება, პროგრამის შეფასება. კითხვარები მოიცავს დამსაქმებელთა,პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიულ მასწავლებელთა გამოკითხვის ფორმებს. პროგრამის შეფასების სისტემა ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღებას დაშრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას. დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერვიუსას აღნიშნა, რომ კოლეჯის ავტორიზებული პროგრამების ფარგლებში ხდება აღნიშნული კითხვარებით პროგრამების შეფასება.

2. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, დამტკიცების, ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი. აღნიშნული წესის მიხედვით პროგრამაში ცვლილების ინიცირების უფლება აქვს ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიულ მასწავლებელს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

„საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია“;
ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების დანართები (კითხვარები);
საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, დამტკიცების, ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი;
ინტერვიუ.

შეფასება:

▮ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.4.სასწავლოპროცესისორგანიზებადაპროფესიულსტუდენტთაშეფასება

2.4.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სასწავლო გეგმა: ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. საბაზო პროფესიული კვალიფიკაციისთვის მინიჭებისთვის „შედუღების“ პროგრამის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **38 კრედიტი**. 9 პროფესიული მოდული 32 კრედიტის მოცულობით, 2 ზოგადი მოდული 6 კრედიტის რაოდენობით. პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 53 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - 48 კვირა. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არის 38 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - 28 კვირა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

<u>მოდულებს დაშვების წინაპირობა არ გააჩნია.</u>

2. დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებას უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდნეტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესს გეგმავს ცვლებში, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში განხორციელებას.

3.„შედეგების“ პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. <u>**მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - ორიენტირებული სასწავლო ოთახზე/სახელოსნოზე.**</u> აღნიშნულთან დაკავშირებით კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია დააკონკრეტოს სწავლის მეთოდები.

4.პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კოლეჯს გაწერილი აქვს მარეგულირებელ დოკუმენტებში სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებდან გამომდინარე განსახორციელებელი მექანიზმების შესახებ.
ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს საწარმოო პრაქტიკას. დაწესებულებას მიმდინარე ეტაპზე მემორანდუმი გაფორმებული აქვს კომპანიასთან - შპს „ჯეო მარკი“. მემორანდუმის საგანს წარმოადგენს სასწავლო ექსკურსიების უზრუნველყოფა. მხარეთა შორის გაფორმებული მემორანდუმი არის უვადო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

6.დაწესებულებას მიმდინარე ეტაპზე არ აქვს მოწყობილი C გარემო. აღნიშნული გარემო მშენებლობის პროცესშია. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია, რომ შემუშავდება „უსაფრთხოების წესები და ინსტრუქციები პროგრამის სპეციფიკის გათვალსწინებით. დოკუმენტების შემუშავების ვადად განსაზღვრულია 5 თვე. **დაწესებულებამ აღნიშნული კომპონენტი შეაფასა როგორც მეტწილი შესაბამისობა.**

ექსპერტთა შეფასებით აღნიშნული კომპონენტი შეფასდა ავტორიზაციის სტანდარტებთან როგორც მეტწილად შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- სასწავლო გეგმა.
- ვიზუალური დათვალიერება.
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმე.
- შესაბამისობის გეგმა.
- ინტერვიურება.

შეფასება:

☐შეესაბამება
☒მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

☐არ შეესაბამება

2.4.2.შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია სტუდენთა შეფასების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს კომპეტენციებზე დაფუძნებულ შეფასებას. ვერიფიკაციის მექანიზმებში განსაზღვრულია შეფასების ვალიდურობის,სანდოობის,ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის კრიტერიუმები.

2.დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც განსაზღვრულია რისკების სისტემა, ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელ და ჩართული პირებს, ვერიფიკაციის პროცედურას, ვერიფიკაციის დასკვნის მომზადების ეტაპებს.

3.სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია შეფასების მტკიცებულებების არქივში შენახვა კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით. ვერიფიკაციის მექანიზმებით განსაზღვრულია ის მოთხოვნები, რასაც უნდა ითვალისწინებდეს შეფასების ინსტრუმენტები, მათ შორის სწავლის შედეგების დასადასტურებლად წარმოდგენილი მტკიცებულებების დასახელებას. კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაციის თანახმად დაწესებულება ახდენს მტკიცებულებების აღრიცხვას.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულებით,ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. ვერიფიკაციის მექანიზმებში განსაზღვრულია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

რომ ვერიფიკაციის შედეგები ასევე შეიძლება გამოყენებული იქნას პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისთვის. განმავითარებელი შეფასების გზით ხდება პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკის გაკონტროლება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
ვერიფიკაციის მექანიზმები.
შეფასება:

- ■ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია
ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი:
12.01.22

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: